საბჭოთა ისტორიული მეცნიერება 1917 წ.- 30-იანი წლების დასაწყისში

ისტორიული მეცნიერების ორგანიზაციული და იდეურ-თეორიული განვითარება

რუსული ისტორიული მეცნიერების განვითარება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ათწლეულში პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი მოიცავს სამოქალაქო ომის და უცხოურ სამხედრო ინტერვენციის წლებს (1917-1920 წწ) და ხასიათდება სერიოზული კვლევის პრაქტიკული არარსებობით. მეორე ეტაპი შემოიფარგლება ნეპის პერიოდით და დაკავშირებულია პოლემიკის დაწყებასთან ახალად გამომცხვარ მარქსისტული მიმართულების ისტორიკოსებსა და ძველი სკოლის ისტორიკოსებს შორის, რომლებსაც მოიხსენიებენ როგორც ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული. უკვე შემდგომი ეტაპი თარიღდება 1928-31 წწ. ის დაკავშირებულია არამარქსისტული ისტორიოგრაფიის საბოლოო განადგურებასთან, ისტორიის მარქსისტული გაგების აშკარად შესამჩნევ კრიზისთან და ისტორიული ცოდნის უნიფიკაციის პროცესის დასაწყისთან.

1920-იან წლებში რუსული ისტორიული მეცნიერების ორგანიზაციული სტრუქურა წარმოდგენილი იყო დაწესებულებების ორი დიდი ჯგუფით: 1) ახალი ტიპის ცენტრები: სოციალისტური (კომუნისტური) აკადემია, წითელი პროფესურის ინსტიტუტი (ИКП), კ. მარქსის და ფ. ენგელსის ინსტიტუტი, ლენინის ინსტიტუტი, რევოლუციის მუზეუმი - შექმნილი კომუნისტური პარტიის მიერ პარტიული ამოცანების შესასრულებლად. 2) ძველი ტიპის ცენტრები შექმნილი 1917 წლამდე (უნივერსიტეტები, არქეოგრაფიული კომისია, ისტორიული მუზეუმი, საისტორიო საზოგადოება, მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული ინსტიტუტები) ან საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (ГАИМК) (РАНИОН) ისინი იყვნენ ავტონომიური თავიანთი მიზნებით და ამოცანებით და თავისუფალი მარქსისტული გავლენისგან კვლევის თემატიკის არჩევაში.

„ისტორიული კვლევების მარქსისტული მიმართულების გაჩენა“

მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ ათწლეულში შეიქმნა საკმაოდ რთული მდგომარეობა, მარქსიზმის მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციის გამო. პირველი მისი გააზრება რუსეთის სინამდვილესთან მიმართებაში ეკუთვნის ვ. ლენინს. რომელსაც თვლიან საბჭოთა ისტორიული მეცნიერების დამაარსებლად. ის არ იყო პროფესიონალი ისტორიკოსი, მაგრამ მისი ბევრი ნაშრომი ისტორიულია. რიგ შემთხვევებში მის მიერ გამოთქმული შეფასებები ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით დიდი ხნის განმავლობაში იყო მარქსისტული ისტორიული კვლევა-ძიებების საფუძველი.

ლენინის შეხედულებები რუსეთის ისტორიაზე მოიცავდა მცირერიცხოვან შეფასებებს ფეოდალური პერიოდის ისტორიისა და მეტნაკლებად შემუშავებულ მე-19, მე-20 დასაწყისის ისტორიის სქემებს. ფეოდალური რუსეთის დახასიათებისას ლენინი აღნიშნავდა: „საზოგადოების ძირითადი დაყოფა იყო მებატონე-მემამულე და ყმა-გლეხები <...> ბატონყმობა რუსეთში დიდხანს შენარჩუნდა და მიიღო ყველაზე უხეში ფორმები, ის არაფრით განსხვავდებოდა მონობისგან“. საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა მან ს. რაზინს, რომელმაც თავი დადო თავისუფლებისთვის ბრძლაში. ლენინმა სცადა განეზოგადებინა

თავისი ცოდნა პეტრე I - ზე რომელმაც ,,დააჩქარა დასავურის გადმოღება ბარბაროსულ რუსეთში“ ამასთან არ ერიდებოდა არც ბრძოლის ბარბაროსულ მეთოდებს ბარბაროსობის წინააღმდეგ.

ოქტომბრამდელი ისტორიის პრობლემებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას ლენინი უთმობდა იმპერიალიზმს. სწორედ მან გააკეთა დასკვნა რუსეთში სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის არსებობის შესახებ. მის განმარტებაში ,,სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალი არის სოციალიზმის სრული მატერიალური მომზადება, არის მისი კარიბჭე, არის ისტორიული კიბის ის საფეხური რომელსაც სოციალიზმის საფეხურამდე არანაირი შუალედური საფეხურ არ გააჩნია“. რუსეთის შესვლას იმპერიალიზმში ლენინის აზრით არ შეუცვლია სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივი ბუნება. ის წერდა ,,სახელმწიფო ხელისუფლება რუსეთში იყო ერთი, ძველი კლასის ხელში სახელდობრ კი ბატონყმურ-თავადაზნაურულ-მემამულური კლასის“.

დეტალურად შეიმუშავა ლენინმა რსდმპ (ბ) გაჩენის და განვითარების ისტორია. ბოლშევიზმის როგორც პოლიტიკური აზრის მიმდინარეობის და როგორც პოლიტიკური პარტიის გაჩენას ის ათარიღებდა 1903 წლით. პარტიის ისტორია მის მიერ განიხილებოდა მუშათა მოძრაობასთან კავშირში. ლენინმა გააღრმავა აზრი პირველი რუსული რევოლუციის ადგილზე და მნიშვნელობაზე მიუთითა, რომ ,,გენერალური რეპეტიციის“ გარეშე ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა. მანვე განავითარა აზრი 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებაზე, როგორც რევოლუციის განვითარების უმაღლეს წერტილზე.

ლენინი გახდა პროლეტარიატის დიქტატურის პირველი წლების მთავარი ისტორიკოსი. შესთავაზა მოვლენების სამეტაპიანი პერიოდზაცია. მან გამოყო პერიოდი 1917 წლის 25 ოქტომბრიდან 1918 წლის 5 იანვრამდე - როგორც ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის დასრულების დრო, და მთავარი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების დრო მეორე ეტაპად ლენინმა გამოყო ბრესტის ზავი, შემდეგ სამოქალაქო ომს (1918-1920) და ბოლოს მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის ეტაპი 1921 წელს.

რუსეთის ისტორიის ლენინისეული კონცეფცია იყო ამოსავალი წერტილი მარქსისტი ისტორიოკოსებისა და საზოგადოებათმცოდნეებისთვის, რომლებიც გვთავაზობდნენ არა მხოლოდ მარქსიზმის არამედ ლენინიზმის საკუთარ ინტერპრეტაციას. ამასთან ფართო განვითარება ჰპოვა ციტატომანიამ, ლენინის გამოთქმების მითითება, ერთი ეპოქის ისტორიის შესახებ მეორის დასახასიათებლად. ისტორიკოსები ყოვეთვის ვერ არჩევდნენ ზღვარს აზრებს განპირობებულს გენერალური მიმართულებით და ,,შემთხვევით“ იდეებს შორის რომელიც ასევე იქნა აყვანილი აბსოლუტური ჭეშმარიტების დონემდე.

ლენინის კვალად რუსეთის ისტორიის საკუთარი განმარტება მოგვა ლ. ტროცკიმ. მისი ბიოგრაფის ი. დოიჩერის აზრით ტროცკის ისტორიული თხზულებები დიალექტიკურია იმ დონემდე, რომ მარქსიზმში მსგავსი არ უნახავთ მარქსის შემდეგ, რომლისგანაც სხვათაშორის ტროცკიმ ისესხა მეთოდი და სტილი. ის თვლის, რომ ,,ტრიცკი ერთ-ერთი გენიალური ისტორიკოსია მარქსისტებს შორის და ჯერაც მათ მიერ უარყოფილი“.

ძირითადი ყურადღება საკუთარი კონცეფციის შემუშავებისას ტროცკიმ მიაპყრო რუსეთის ისტორიული განვითარების თავისებურებებს. მისი აზრით რუსეთს იძულებულს განვითარებულიყო დასავლეთის ეკონომიკური და სამხედრო გავლენით არ შეეძლო გაევლო

კლასიკური დასავლეთ ევროპული პროგრესის ციკლის ყველა ფაზა. მან ვერ შეძლო გაეტარებინა საკუთარი რეფორმაცია ან მოეხდინა რევოლუცია ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით. ქვეყნის ჩამორჩენილობა აიძულებდა მას პოლიტიკურად მისულიყო დასავლეთ ევროპის დონემდე და შემდეგ სოციალისტურ რევოლუციასთან. სუსტ რუსულ ბურჟუაზას არ შეეძლო გადაეგდო ნახევრადფეოდალური აბსოლუტიზმის უღელი, მაგრამ მუშათა კლასთან ტანდემში და მეამბოხე გლეხების მხარდაჭერით ის გახდა რევოლუციური ძალა. მუშათა კლასს არ შეეძლო დაკმაყოფილებულიყო ბურჟუაზიული დემოკრატიის დამყარებით და დაიწყო ბრძოლა სოციალისტური პროგრამის რეალიზებისთვის. ამრიგად ,,კომბინირებული განვითარების კანონის“ ძალით უკიდურეს ჩარჩენილობას ჰქონდა ტენდენცია გაერთიანებულიყო უკიდურეს პროგრესთან რამაც გამოიწვია 1917 წლის აფეთქება.

ტროცკი რევოლუციამდელ რუსეთს უპირისპირებდა საბჭოთა რუსეთს რაც არის მისი ისტორიული კონცეფციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. ის წერდა ,,... ენამ აშკარად ასახა ორი ეპოქა რუსეთის ისტორიაში. თუ თავადაზნაურულმა კულტურამ შეიტანა მსოფლიო მიმოქცევაში ისეთი ბარბარიზმები როგორიცაა ,,Царь“, ,,Погром“, ,,Нагайка“, ოქტომბერმა მოახდინა ისეთი სიტყვების ინტერნაციონალიზაცია როგორებიცაა ,,ბოლშევიკი“, ,,საბჭო“, ,,ხუთწლედი“. თუნდაც ეს ერთი რამ ამართლებს პროლეტარულ რევოლუციას თუ საერთოდ ჩავთვლით, რომ მას სჭირდება გამართლება“.

განსაკუთრებულ როლს ტროცკი ანიჭებდა პიროვნების როლს ისტორიაში. მისი დეტერმინისტული შეხედულება ისტორიულ პროცესებზე საშუალებას აძლევდა მას პოლიტიკური მოწინააღმდგეებისთვის ზემოდან არ ეყურებინა და მათ მიმართ ყოფილიყო ,,ობიექტური“. ის, როგორც წესი არ აფასებდა ბოლშევიზმის მტრებს როგორც კორუმპირებულ და საზიზღარ ხალხს. მაგალითად ასე ახასიათებს ნიკოლოზ II-ს: ,,ნიკოლოზ II-ემ თავისი წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიიღო არა მხოლოდ გიგანტური იმპერია, არამედ რევოლუციაც. მაა არ დაუტოვეს მემკვიდრეობით არცერთი თვისება რომელიც მისცემდა მას შესაძლებლობას ემართა იმპერია, გუბერნია ან თუნდაც მაზრა. ყოველ ზვირთს რომელიც მისი სასახლის კარებს მიუახლოვნებოდა რომანოვების მემკვიდრე უპირისპირებდა მხოლოდ ჩუმ გულგრილობას“.

ტროცკის კონცეფცია მწვავე კრიტიკის ქვეშ მოექცა და არ შეუქმნია მიმართულება ისტორიულ კვლევებში, მაგრამ მისი ზემოქმედება 1920-იანი წლების ისტორიოგრაფიულ სიტუაციაზე უდავოა, თუნდაც ის, რომ გაჩნდა ისტორიკოსების და საზოგადოებათმცოდნეეების მთელი სკოლა რომლებიც დასპეციალისტდნენ ტროცკის ნაშრომების კრიტიკაზე.

რუსეთის ისტორიის საკუთარ ინტერპრეტაციას მარქსიზმის ბაზაზე განაგრძობდა მ. პოკროვსკი. მისი როლის შესახებ ისტორიული მეცნიერების განვითარებაში არსებობს რამდენიმე თვალსაზრისი, რომელთა შორის შეიძლება აგამოვყოთ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისი. პირველი მას ახასიათებს როგორც 1920-30-იანი წლების გამოჩენილ ისტორიკოს- ბოლშევიკს რომელიც ფლობდა უსაზღვრო, დიქტატორულ მონოპოლიას ისტორიულ მეცნიერებებზე და პასუხისმგებელი იყო ბურჟუაზიული ისტორიკოსების დევნაზე. (ა. მაზური, კ. შტეპი პ. არონი) პოკროვსკის მიეწერება პარტიული

სახელმწიფო მანქანას და ისტორიულ მეცნიერების სფეროს შორის ე.წ. ,,გადამყვანი ბერკეტის“ არასახარბიელო როლი. მეორე აზრი არია აპოლოგეტური (ო. სოკოლოვი).

პოკროვკი იყო უკანასკნელი ისტორიკოსი რომელიც ცდილობდა გაეაზრებინა რუსეთის ისტორია მთლიანობაში. მაგრამ პროფესიონალური თვალსაზრისით მის მიერ შემოთავაზებული კონცეფცია საკმაოდ მოწყვლადია, რამდენადაც მისი შექმნისას ავტორი გამოდიდოდა როგორც კომპილატორი და არა როგორც მკვლევარი. კონცენტრირებული სახით პოკროვსკის კონცეფცია ჩამოყალიბებულია: ,,რუსული ისტორია ყველაზე შემჭიდროვებულ ნარკვევებში“ ,,Русская история в самом сжатом очерке“ რომლის პირველმა ორმა ნაწილმა დღის სინათლე იხილა 1920 წელს და დიდად იქნა შეფასებული ლენინის მიერ.

პოკროვსკის ისტორიული სქემა გამსჭვალულია თეორიისა ზეკლასობრივი სახელმწიფოს თეორიის და რუსეთის განსაკუთრებული გზის უარყოფის პათოსით. ითვლება რომ მას ეკუთვნის ფრაზა: ,,ისტორია ესაა პოლიტიკა შებრუნებული წარსულში“. 1930 წლის 8 დეკემბერს კომამაკდემიის ისტორიის ინსტიტუტში პარტიულ კრებაზე გამოსვლისას პოკროვსკიმ განაცხადა: ,, ბრძოლა ისტორიის ფრონტზე ესაა ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზისთვის. დადგენილება ,,ისტორია ესაა პოლიტიკა შებრუნებული წარსულში „ ნიშნავს, რომ ყველანაირი ისტორიული სქემა არის რგოლი, ჯაჭვი პარტიის გენერალურ ხაზზე თავდასხმის. არსებობს ყველაზე მჭიდრო კავშირი პარტიის გენერალური ხაზისთვის ბრძოლას და ბრძოლასთან ისტორიის ფრონტზე. არ შეიძლებ მათი განცალკევება. ძნელია წარმოდგენა ისეთი ალბათობის, რომ პარტიის გენერალური ხაზის მომხრე წარმოადგენდეს რევიზიონისტს ისტორიულ ნაშრომებში. ისტორია არ არის თვითკმარი ამოცანა, ისტორია პოლიტიკური ბრძოლის უდიდესი იარაღია, სხვა აზრი ისტორიას არ აქვს“. არსებითად პოკროვსკი მოუწოდებდა ისტორიული კვლევების პარტიის მოთხოვნებისთვის პირდაპირ დამორჩილებას.

პოკროვკის კრიტიკას ჯერ კიდევ 20-იან წლებში ცდილობდნენ (ა. სლეპკოვი, ს. ტომსინსკი, ვ. რახმეტოვი), მაგრამ მეცნიერის დიდი ავტორიტეტის გამო ამან განვითარება ვერ ჰპოვა. ამასთან კრიტიკული შეფასებების გაჩენა საკმაოდ სიმპტომატურია. ის მოწმობდა კრიტიკისთვის რეალური ობიექტის არსებობას - მცდარი შეხედულებები და დადგენილებები.

რუსული ისტორიოგრაფიის მარქსისტული სექტორის ორგანიზაციული გაფორმება დაკავშირებულია ახალი ტიპის კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების გაჩენასთან. მათ შორის საზოგადოებრივი მეცნიერებების სოციალისტური აკადემია (1918) მარქსის და ენგელსის ინსტიტუტი (1921-22), ისტპარტი (1920) და ა.შ. ყველაზე დიდი ინტერესს წარმოადგენს წითელი პროფესურის ინსტიტუტი რომლის საქმიანობა იყო ყველაზე ,,ნაყოფიერი“ მეცნიერული კუთხით.

საზოგადოებათმცოდნეების და ისტორიკოსების მარქსისტული კადრების მოსამზადებლად სპეციალური ცენტრების შექმნის იდეა წამოწეულ იქნა სახალხო განათლების საკითხებზე პირველ თათბირზე (1920 წლის დეკემბერი - 1921 წლის იანვარი) და ხორცშესხმა ჰპოვა СНК РСФСР (სახალხო კომისართა საბჭო) 1921 წლის 11 თებერვლის დეკრეტით. მის საფუძველზე მოსკოვში და პეტროგრადში შეიქმნა წითელი პროფესურის ინსტიტუტები რომელშიც ჩამოყალიბდა ახალი ტიპი სასწავლო დაწესებულების სადაც

კომბინირებული იყო თეორიულ მეთოდოლოგიურ მომზადება ისტორიის ცაკლეული თემების შემუშავებასთან (სამეცნიერო კვლევითი სემინარის ფარგლებში). პედაგოგიური კოლექტივის ბირთვს შეადგენდნენ ძველი ბოლშევიკები და პირველი მეცნიერ- მარქსისტები (ვ. ადოტარსკი, ვ. ვოლგინი, შ. დვოლაიცკი, ვ. ნევსკი, მ. პოკროვსკი, ფ. როტშტეინი, ე. იაროსლავსკი) ხშირად იწვევდნენ გამოჩენილ პარტიულ ხელმძღვანელებს (ნ. ბუხარინი გ. ზინოვიევი, ლ. კამენევი). ძირითადი პრინციპი მსმენელთა შერჩევის იყო პროლეტარიზმის პოლიტიკა, რაც გახდა ღრმა კრიზისის მიზეზი 1920-30 წწ. მიჯნაზე. გამოშვებულთა უმრავლესობას არ ჰქონდა მყარი, სისტემატიზებული ცოდნა ისტორიაში. ბევრმა შეითვისა მხოლოდ ზოგადსოციოლოგიური ფორმულები. წითელი პროფესურის ინსტიტუტების ინიციატივით იმართებოდა დისკუსიები 1905-1907 წწ. რევოლუციაში საბჭოების შესახებ, რუსეთში ფინანსური კაპიტალის ხასიათზე რუსეთში და სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ორ გზაზე. ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდაზე და ა.შ. მაგრამ მათი მსვლელობისას არამარქსიტულად განწყობილი ისტორიკოსების თვალსაზრისი აპრიორი უარყოფილი იყო და შეფასებული როგორც იდეოლოგიურად მავნე. ისტორიოგრაფიული სიტუაციის განვითარების თვალსაზრისით წითელი პროფესური ინსტიტუტებმა როგორც გარდამავალი ტიპის სასწავლო დაწესებულებამ ამოწურა თავისი თავი.

ბოლშევიკების მიერ ჩამოყალიბებულმა ისტორიულმა სასწავლო დაწესებულებებმა ნიჭიერი და არასტანდარტულად მოაზროვნე ისტორიკოსების გვერდით გამოუშვა მნიშვნელოვანი რაზმი პროფესიული თვალსაზრისით მცირედკომპეტენტური ხალხისა, რომლებმაც ნეგატიური გავლენა მოახდინა ქვეყანაში ისტორიული მეცნიერების განვითარებაზე. სწორედ მათ მიერ იქნა დანერგილი მებრძოლი დოგმატიზმის და ინტელექტუალური შეუწყნარებლობის სულისკვეთება. 20-იანი წლების ბოლოსთვის ცვალებადი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის ფონზე რუსული ისტორიოგრაფიის მარქსისტულ სექტორში ჩამოყალიბდა საკმაოდ ნეგატიური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდებოდა არამარქსისტული საზოგადოებათმცოდნეობის საუკეთესო მიღწევებისგან იზოლაციით, შეიმჩნეოდა ლტოლვა განყენებული სქოლასტიკური თეორეტიზირებისკენ, ინტელექტუალური არგუმენტაცია შეიცვალა იდეოლოგიური ბრალდებებით. დაიწყო უნიფიკაციის და მარქსისტული ისტორიული მეცნიერების დოგმატიზაციის პროცესი. ისტორიკოს-მარქსისტების რიგში გაისმოდა მოთხოვნები ,,მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდის“ ,,იდეური ამტანობის“ შესახებ. მსგავსი სიტაუციის ჩამოყალიბებას განაპირობებდა პოკროვსკის და იაროსლავსკის გარშემო შემოკრებილი ისტორიკოსების ბრძოლა პირველობისთვის.

,,ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება“

რუსული ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება ნეგატიურად შეხვდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. უკვე 1917 წლის ნოემბერში მისმა ერთ-ერთმა მსხვილმა წარმომადგენელმა აკადემიკოსმა ა. ლაპო-დანილევსკიმ მიმართა მოწოდებით რომელშიც საუბარი იყო ,,უდიდესი უბედურების შესახებ“ რომელიც დაატყდა რუსეთს, საბჭოთა ხელისუფლების არაღიარების შესახებ და დამფუძნებელი კრების მხარდაჭერის აუცილებლობის შესახებ. ანტიბოლშევიკური განცხადებებით გამოვიდა მოსკოვის, ყაზანის, ხარკოვის და სხვა უნივერსიტეტის პროფესურა.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოიწვია რუსეთიდან ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების წარმომადგენლების მასიური გადინება. უკვე 1917 წელს ქვეყანა დატოვა ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ჰესენმა და ჰარვარდის მომავალმა პროფესორმა მ. კარპოვიჩმა. 1918 წ. საბჭოთა რუსეთი დატოვა გეოგრაფიის ინსტიტუტში ისტორიის კათედრის გამგემ, კარტოგრაფიის და ისტორიის უბადლო მცოდნემ ლ. ბაგროვმა. პეტროგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელმა პ. ოსტროუხოვმა, ანტიკურობის ცნიობილმა მკვლევარმა, მომავალში იელის უნივერსიტეტის პროფესორმა მ. როსტოვცევმა. 1919 წავიდა კიევის უნივერსიტეტის პროფესორი დ. დოროშენკო, ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, დროებითი მთავრობის ყოფილი მინისტრი ა. კარტაშევი. მკვეთრად გაიზარდა ემიგრანტების ტალღა 1920 წელს (ნ. ალექსეევი, ნ. ბაუმგარტენი, ა. ბილიმოვიჩი, ფ. ბრაუნი, გ. ვერნადსკი, ი. გოლენიშევ-კუტუზოვი, კ. ზაიცევი, ვ. ზენკოვსკი, მ. ზიზიკინი და სხვები)

რაღაც დოზით საეტაპო მოვლენა იყო რუსული ისტორიული სკოლის ჩამოყალიბება საზღვარგარეთ ე.წ. ,,ფილოსოფიური თბომავალი". ცნობა ბურჟუაზიული მეცნიერების გასახლების მზადების შესახებ გამოჩნდა ,,პრავდაში" 1922 წლის 31 აგვისტოს, მაგრამ მანამდე მოსკოვში, პეტროგრადში, კიევში და სხვა ადგილებში მოხდა დაპატიმრებები. გადასახლებების საერთო რიცხვი ერთი მონაცემეებით იყო 50-60 ადამიანი მეორით 300. მათ შორის მეცნიერ ისტორიკოსები. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. კიზევეტერი, ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ფროლოვსკი და სხვა. იმავდროულად გადასახლებულ იქნა ფილოსოფიური აზრის ცნობილი წარმომადგენლები ნ. ბერდიაევი, ს. ფრანკი, ს. ბულგაკოვი, ფ. სტეპუნი, ბ. ვიშესლავცევი, ი. ლაპშინი, ი. ილინი, ლ. კარსავინი, ს. ტრუბეცკოი - მეცნიერები რომელთა ნაშრომები დიდწილად საფუძვლად დაედო ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიას.

ახასიათებს რა ემიგრაციას ცნობილი ისტორიკოსი ბარონი ბ. ნოლდე წერდა ,,ბიბლიური დროიდან არ ყოფილა ასეთი გრანდიოზული ,,გასვლა" ქვეყნის მოქალაქეების ... რუსეთიდან წავიდა არა პატარა მუჭა ადამიანების <> ეს იყო ემიგრაცია არა რუსების არამედ რუსეთის".

ამრიგად 1920-იან წლების დასაწყისში რუსეთის გარეთ აღმოჩნდა ისტროიკოსების და საზოგადოებათმცოდნეების დიდი ჯგუფი რომელიც წარმოადგენდა ისტორიული მეცნიერების თანავარსკვლავედს. ისინი განაგრძობდნენ მათთვის საინტერესო პრობლემების შემუშავებას და ამით საფუძველი დაუდეს მომავალ დასავლეთ ევროპულ და ამერიკულ ,,რუსისტიკას" და ,,სოვეტოლოგიას".

ისტორიკოსების გვერდით რომლებმაც დატოვეს რუსეთი ნებით თუ ძალით არსებობდა მკვლევრების მნიშვნელოვანი ჯგუფი რომლებმაც სცადეს მისადაგებოდნენ მარქსისტულ იდეოლოგიას და ბოლშევიკების სოციალურ პრაქტიკას. მაგრამ მსგავსი ადაპტაცია ხშირად ფორმალური იყო და ატარებდა წმინდა გარეგნულ ხასიათს. ისტორიკოსების სწორედ ეს ჯგუფი ყველაზე აქტიურად ეწინააღმდგეებოდა დამღუპველ ტენდენციას, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ.

არამარქსისტული ისტორიული მეცნიერება რუსეთში 1920-იან წლებში ვითარებოდა ძალიან რთულ პირობებში. ბოლშევიკური მთავრობამ მოახდინა მისი ტრადიციული ცენტრების რეორგანიზაცია. ფაქტობრივად ლიკვიდირებულ იქნა საუნივერსიტეტო ისტორიული განათლება და ისტორიის ფაკულტეტების ნაცვლად უნივერსიტეტებში შეიქმნა

საზოგადოებრივი მეცნიერების ფაკულტეტი. 1921 წელს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დეკრეტი, რომელიც აწესებდა სასწავლო საგნების სავალდებულო მინიმუმს:
1. საზოგადოებრივი ფორმების განვითარება, 2. ისტორიული მატერიალიზმი 3. პროლეტარული რევოლუცია 4. რსფსრ პოლიტიკური წყობა 5. წარმოების და განაწილების ორგანიზაცია რსფსრ-ში. 6. რსფსრ ელექტროფიკაციის გეგმა. არანაკლებ რთული სიტუაცია შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის ისტორიულმა განყოფილებამ დაიწყო თანაშრომლობა ახალ ხელისუფლებასთან.

მეცნიერი არამარქსისტები ხშირად შედიოდნენ პოლემიკაში დამწყებ, გაბატონებულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიასთან. ს. პლატონოვმა მიმართა პეტრეს რეფორმების შესწავლას და ახასიათებდა პეტრეს როგორც ,,მოუსყიდველ და მკაცრად-პატიოსან მუშაკს საერთო კეთილდღეობისთვის“. ამით ის უპირისპირებდა თავის შეხედულებებს ოფიციალურს, რომელიც წარმოადგენდა იმპერატორს ბინძურ და ავადმყოფ ლოთად, რომელსაც დაკარგული ჰქქონდა ჯანსაღი აზრი და უცხო იყო მისთვის ყველანაირი წესიერება“.

1920-იანი წლების ბოლოს შეიმჩნევა მთავრობის პოლიტიკის აშკარა გამკაცრება ბურჟუაზიული ისტორიკოსების მიმართ. თავის აპოთეოზს მან მიაღწია ,,ისტორიკოსთა“ საქმის მსვლელობისას (მიზეზი იყო მეცნიერებათა კაადემიის ბიბლიოთეკაში ნიკოლოზ II და მისი ძმის მიხეილის გადადგომის მანიფესტების ნამდვილი ეგზემპლარების აღმოჩენა). 1930 წ. დაპატიმრებულ იქნა აკადემიკოსი ს. პლატონოვი. შემდეგ მისი მეგობრები და მოწაფეების ა. ზაოზერსკი, ა. ანდრეევი. ს. როჟდესტვენსკი, მალე მათ მიაყოლეს პროფესორები ბ. რომანოვი, ე. ტარლე, ნ. ლიხაჩოვი. მოგვიანებით დაპატიმრებულ იქნა აკადემიკოსი მ. ლიუბავსკი. აკადემიის წევრკორები ი. გოტიე, დ. ეგოროვი, ა. იაკოვლევი. პროფესორი ს. ბახრუშინი და სხვები.

მიუხედავად ,,მსუბუქი“ განაჩენისა სწორედ ისტორიკოსების საქმე ნიშნავდა რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში ბურჟუაზიული მიმართულების ფაქტობრივ დანგრევას და ლიკვიდაციას. ეს მშვენივრად ესმოდათ ისტორიკოს მარქსისტებს

1930 წ. შედგა დისკუსია თემაზე ,,დასავლეთის ბურჟუაზიული ისტორიკოსები სსრკ-ში“ რომლის მსვლელობისას მკაცრი კრიტიკის ობიექტებად არჩეულ იქნენ ე. ტარლე ნ. კარეევი, ვ. ბუზესკული. ამასთან ესენი იყვნენ ხანდაზმული ადამიანები.

გზად ავღნიშნავთ იმას, რომ ისტორიული მეცნიერების ფაქტობრივმა განადგურებამ 1920-იანი წლების ბოლოს და 1930-იანების დასაწყისში გამოიწვია სერიოზული აღშფოთება ევროპაში. გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერ მატიეზი გამოვიდა პროტესტით ტარლეს დაპატიმრების გამო. 1931 წ. გაზეთში ,,მეტენი“ გამოაქვეყნა წერილი 48 დაპატიმრებული საბჭოთა ისტორიკოსის დასაცავად. ის ხელმოწერილ იქნა გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსების და კულტურის მოღვაწეების მიერ.

,,წვრილბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერება“

1920-იანი წლების წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფია წარმოადგენდა მცირე რაოდენობის ნაშრომებს ავტორებისა რომლებიც მიეკედლნენ ან მენშევიკებს ან ესერებს (ნ. როჟკოვი, რ. ივანოვ-რაზუმკინი, ა. პოპოვი და სხვა). უკვე სტატიათა პირველ კრებულებში 1918-19 წწ. (,,ბოლშევიკები ხელისუფლებაში. ოქტომბრის გადატრიალების სოციალ

ეკონომიკური შედეგები“, ,,რუსული რევოლუციის ერთი წელი“, ,,ახლო წარსულიდან“) ნათლად ჩანს მოცემული მიმართულების ისტორიკოსების ანტიბოლშევიკური განწყობა.

წვრილბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ყველაზე მსხვილი წარმომადგენელი 1920-იან წლებში იყო პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ნ. როჟკოვი, რომელმაც გამოაქვეყნა იმ წლებში თავისი ნაშრომი (Русская история в сравнительно историческом освещении (опыт социальной динамики)) 12 ტომი. ფაქტობრივად რუსეთის ისტორია როჟკოვთან იწყება VI სკ. რუსული ტომების განსახლებით დნეპრისპირეთში, ვოლგისპირეთში, ოკას და ვოლხოვის აუზში. შემდგომი პერიოდიზაცია ასეთია VI-IX სს. უძველესი რუსეთი. ბარბაროსობის მდგომარეობა, X-XII სს. ფეოდალური რევოლუცია, XIII- XVI სს. ფედალიზმი, XVI საუკუნის შუახანებიდან - 1725 წ. თავადაზნაურული რევოლუცია, 1725-1825 წწ. თავადაზნაურთა ბატონობა, 1825-1860 წწ. ბურჟუაზიული რევოლუცია, 1861-1905 წწ. საწარმოო კაპიტალიზმი, 1905-1917 წწ. რევოლუცია რუსეთში. (მასთან გაგრძელებულია ფაქტობრივად რუსეთის ისტორიის კონცეფცია. განსაკუთრებულ ყურადღებას როჟკოვი ანიჭებდა ფსიქოლოგიურ ფაქტორს ისტორიაში).

ისტორიის ცალკეული პრობლემების შესწავლა

,,მეთოდოლოგიის საკითხი რუსულ ისტორიულ ნაშრომებში“

ისტორიული კვლევების მეთოდოლოგიის საკითხები აღმოჩნდა პოლემიკის ცენტრში რუსული ისტორიული აზრის ტრადიციულ მიმართულებას და ახლად აღმოცენებულ მარქსისტულ მიმართულებას შორის. მოცემულ პრობლემაზე ერთ-ერთმა პირველებმა თავიანთ ნაშრომებში გამოთქვეს აზრი ძველი სკოლის მეცნიერებმა ნ. კარეევმა, ა. ლაპო დანილევსკიმ რ. ვიპერმა. ისინი აცხადებდნენ ობიექტური მეცნიერების ზეკლასობრივი ხასიათის შესახებ. ბურჟუაზიული ისტორიკოსები აღიარებდნენ მარქსიზმს, მაგრამ როგორც ერთ-ერთ სკოლას, ერთ-ერთ მიმართულებას თანამეროვე სოციოლოგიისა თუმცა შეზღუდულს რომელსაც უფლება ჰქონდა არსებობდეს ,,მუშა ჰიპოთეზის“ სახით.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები მარქსიზმს აკრიტიკებდნენ რიგი დადგენილებების გამო, მაგალითად სხვაგვარი იყო ცნება სახელმწიფოს განმარტება, უარს ამბობდნენ მარქსისტულ სწავლებაზე ბაზისის და ზედნაშენის შესახებ.

ბურჟუაზიული ისტორიკოსები არ იღებდნენ კლასობრივი ბრძოლის და რევოლუციის როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალის აბსოლუტიზაციას, საზოგადოებრივი განვითარება მათი აზრით მიდის ევოლუციურად და მხოლოდ ზოგჯერ ირღვევა ბიძგებით და ძვრებით, ამრიგად რევოლუციები განიხილებოდა როგორც შემთხვევითი მოვლენა. კლასობრივი ბრძოლის იდეის გავრცელების წინააღმდეგ ისტორიული პროცესის ყველა ფაქტზე გამოდიოდა კარეევი.

1928 წელს გამოვიდა დ. პეტრუშევსკის წიგნი ,,შუა საუკუნეების ევროპის ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები“ რომელიც დიდი ხანი განიმარტებოდა როგორც ღია გამოსვლა ნეოკანტიანური სულისკვეთებით ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ. ავტორი ეჭვქვეშ აყენებდა მარქსიზმის ძირითად კატეგორიებს უწოდებდა რა მას სუბიექტურ კონსტრუქციებს. დ. პეტრუშევსკის წიგნი იყო არსებითად ისტორიის ბურჟუაზიული

მეთოდოლოგიის მარქსიზმისადმი ღია წინააღმდეგობის უკანასკნელი მცდელობა, ის იქნა აღკვეთილი მკვეთრი და უხეში კრიტიკით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებმაც კი ფაქტობრივად ვერ მოახდინა გავლენა ძველი სკოლის მეცნიერთა ფილოსოფიურ შეხედულებებზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ს. პლატონოვის განცხადება გაკეთებული 1930 წელს ოგპუ-ში ,,ჩემს მსოფლმხედველობას ჩამოყალიბებულს მე-19 საუკუნის ბოლოს საფუძვლად ედო ქრისტიანული მორალი, პოზიტივისტური ფილოსოფია და სამეცნიერო ევოლუციური თეორია ... არსებითად მე ვრჩები ამაზე ამწუთსაც. ათეიზმი ისევე უცხოა ჩემთვის როგორც საეკლესიო დოგმა. პოზიტივიზმმა ადრე ჩემს მიერ შეთვისებულმა გამანთავისუფლა მე იმ პირობითობის და მეტაფიზიკისგან, რომლებიც ჩემი მასწავლებლების (სოლოვიოვი, ჩიჩერინი კაველინი და სხვა) გონებას ფლობდნენ, ჩამინერგა მე კვლევითი სამეცნიერო მუშაობის მეთოდები შორი აპრიორული ჭვრეტისგან. ბოლოს ევოლუციური თეორია დაედო საფუძვლად ჩემს წარმოდგენებს ისტორიული პროცესის არსზე და განაპირობა წყობა ჩემი საუნივერსიტეტო კურსებისა. ასე ახალგაზრდობიდან განსაზღვრული ჩემი პიროვნება არ შეცვლილა არც ჩვენ ლიტერატურაში გაჩენილი მარქსიზმის თეორიით არც პოლიტიკური ზეიმით ამ თეორიისა სსრკ-ს კომუნისტურ სახელმწიფოში“.

მარქსისტულ მიმართულებას დაუნდობელი პოლემიკის წარმოებამ მოუწია ტრადიციული ისტორიული მეცნიერების წარმომადგენლებთან. მისი არსი განსაზღვრა ლენინმა 1920 წ. სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებების ,,პოლიტპრასვეტების“ სრულიად რუსეთის კრებაზე გამოსვლისას განაცხადა: ,,ჩვენი ამოცანაა ვებრძოლოთ კაპიტალისტების ყველა წინააღმდეგობას არა სამხედრო და პოლიტიკური არამედ იდეურიც რომელიც ყველაზე ღრმა და ყველაზე მძლავრია“.

ბურჟუაზიული მეთოდოლოგიის კრიტიკით გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მ. პოკროვსკი, ვ. ნევსკი, ვ. ადორატსკი, გ. ფრიდლიანდი და სხვები. განსაკუთრებული როლი პოლემიკაში ითამაშა პოკროვსკიმ, რომელმაც ამხილა საწინააღმდეგო შეხედულების სხვადასხვა ავტორთა ნაშრომები, მის მიერ გაკრიტიკებულ ისტორიკოსებს შორის შეიძლება დასახელდეს ს. პლატონოვი ა. ლაპო-დანილევსკი პ. მილიუკოვი, გ. პლეხანოვი, ლ. ტროცკი. მუდმივი თავდასხმების გამო ბურჟუაზიულ და სხვა ტიპის ისტორიოგრაფიაზე ისტორიკოსთა ვიწრო წრეში პოკროვსკის უწოდებდნენ ,,მუმლს“ (гнус), თუმცა დროთა მსვლელობაში თვითონ წითელი პროფესორი თავისი იდეით განსაკუთრებული ფორმაციის ,,სავაჭრო კაპიტალიზმის“ არსებობის გამო ობსტრუქციაში მოექცა.

ისტორიის მეთოდოლოგიის შესახებ პოლემიკის თავისებური ლოგიკური დასასრული გახდა ფართო დისკუსია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებზე. მას საფუძველი დაუდო ს. დუბროვსკის 1920 წელს გამოცემულმა წიგნმა: ,,აზიური წარმოების წესის, ფეოდალიზმის, ბატონყმობის და სავაჭრო კაპიტალის არსის საკითხისთვის“ ავტორმა გააკრიტიკა პოკროვსკის აზრი ,,სავაჭრო კაპიტალიზმის“ გამოყოფის აუცილებლობის შესახებ ერთ-ერთ ფორმაციად, მაგრამ თვითონ ჩავარდა ანალოგიურ შეცდომაში გამოყო რა ორი სხვადასხვა ფორმაცია: ფეოდალიზმი და ბატონყმობა. ძირითადი შედეგები ამ დისკუსიის იყო შემდეგი:

1. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ მარქსისტული სწავლების აღიარება ქვეყანაში ისტორიული მეცნიერების განვითარების ურყევ მეთოდოლოგიურ საფუძვლად.
2. მეცნიერ არამარქსისტებთან პოლემიკის დასრულება ისტორიის ფილოსოფიის საკითხებზე და მათი უმრავლესობის მიერ, ხშირად სიტყვიერი, შეცდომების აღიარება.
3. მარქსისტული მიმართულების ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიის უნიფიცირება, პოკროვსკის აზრის უარყოფა სავაჭრო კაპიტალიზმის როგორც განსაკუთრებული ფორმაციის გამოყოფის შესახებ და აზიური წარმოების წესის მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმარციების განუყოფელ ნაწილად აღიარება.
4. ფორმაციების შესახებ სწავლების კონკტერიზაციის ამოცანა რუსეთის ისტორიულ მასალაზე.

,,ფეოდალიზმის ეპოქის რუსეთის ისტორიის შესწავლა“

ფედალიზმის ეპოქაში რუსეთის სოციალურ ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის შესწავლა 1920-იან წლებში დაკავშირებულია პირველყოვლისა არამარქსისტ ისტორიკოსთა ნაშრომებთან და მიღწევებთან. მათი ყურადღების ცენტრეში აღმოჩნდა გარდატეხის ეპოქების რუსეთის ისტორიის საკითხები რაც დიდწილად განპირობებული იყო მცდელობით გარკვეულიყვნენ მომხდარში, მოეძებნათ ისტორიული ანალოგიები.

განსახილვევ პრობლემებს შორის იყო ,,არეულობის დროის“ («смутного времени») ისტორია რომლის განზოგადებას მიმართეს ი. გოტიემ ს. პლატონოვმა. საწყისი მოვლენები რითაც დაიწყო ,,არეულობა“ გოტიეს აზრით იყო ,,სახელმწიფო ძალის უზომოდ დაძაბვა, მზარდ უკმაყოფილება ხალხთა მასებში, განხეთქილება მმართველ წრეებში, ბრძოლა მეფეებს შორის“. ის დიდწილად იზიარებდა ტრადიციულ სქემას: არეულობა დაიწყეს ,,ზემოდან“ ბოიარებმა და მხარი დაუჭირეს ქვემოდან. ამ პირობებში სახელმწიფო ორგანიზმი იძულებული გახდა ,,თავი დაეცვა“. გოტიეს მსჯელობის ზოგადი დასკვნა შეიძლება დავიყვანოთ მის მიერ გამოთქმულ დადგენილებამდე: ,,ანარქიული ქვედა ფენები, ჩახშობილი, ჩაჩუმდა ნახევარი საუკუნე რაც დაეხმარა მოსკოვის სახელმწიფო წყობას განმტკიცებულიყო ძალიან დიდი დროის განმავლობაში.“

ს. პლატონოვმა 1921 წელს გამოსცა თავისი მონოგრაფია ბორის გოდუნოვზე 1923 წ. წიგნი ივანე მრისხანეზე და გამოკვლევა ,,არეულობის დრო“. მათში ავტორი გამოთქვამდა იდეას, რომ ,,არეულობისას“ განადგურდა ბოიარობა და დამარცხება განიცადაკაზაკობამ. მოსკოვის საზოგადოების ზედა და ქვედა ფენება წააგეს და მოიგო საშუალო ფენამ, ,,მსახურეულმა ხალხმა“. კვლევების კანონზომიერი გაგრძელება იყო ს. პლატონოვის მონოგრაფია ,,მოსკოვი და დასავლეთი XVI-XVII სს. (1925).

პეტრე I-ის ეპოქას მიმართეს ს. პლატონოვმა და მ. ბოგოსლოვსკიმ. ამასთან მასში იყო მარქსისტული ისტორიოგრაფიის ფარული გამოწვევა, რომელმაც ახლახანს ჩამოგდებული დინასტიის მეფეების მხილების კურსი აიღო. შემთხვევითი არაა რომ პლატონოვის წიგნი პეტრე დიდზე აკრძალულ იქნა ცენზურის მიერ, ხოლო მისი ავტორი იძულებული გახდა მიემართა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისთვის. ნაშრომმა დღის სინათლე იხილა მხოლოდ 1926 წელს. პლატონოვი აანალიზებდა რა პეტრეს ეპოქას დაასკვნა, რომ იმპერატორის საქმიანობა ,,მთელი ხალხის კეთილდღეობისკენ იყო მიმართული“. გარდა

ამისა მის ნაშრომებში იყო საინტერესო დაკვირვებები, იპოვა ეკატერინე I-ის მიერ პეტრეს გარდაცვალების შემდეგ პრეობრაჟენსკის და სემიონოვსკის პოლკების მოსყიდვის ფაქტის დოკუმენტალური მტკიცებულება.

მ. ბოგოსლოვსკიმ გამოიკვლია პეტრეს ცვლილებები უფრო ფუნდამენტურად და ამასთან წარმოადგინა საინტერესო მიდგომა - ანალიზი თვითონ რეფორმატორის პიროვნების შესწავლის გზით.

არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ არამარქსისტი ისტორიკოსები არ ითვალისწინებდნენ მარქსიზმის მიღწევებს, ზოგიერთი აშკარად გადაიხარა ამ უკანასკნელთა მხარეს. მაგალითად შეიძლება გამოდგეს სარატოვის უნივერსიტეტის პროფესორი ს. იუშკოვი. 20-იანი წლების ნაშრომებში თავდაპირველად გამოდიოდა რა ვ. კლიუჩევსკის სქემიდან რუსეთის IX-XI სს. სავაჭრო ხასიათთან დაკავშირებით მან დაასკვნა ძველ რუსეთში ფეოდალური ხასიათის სოციალური ურთიერთობების შესახებ. შეინიშნა მისი დაშორება არამარქსიტული შეფასებებიდან სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის შეფასებისას.

არამარქსისტულისთვის მარქსისტულ ისტორიოგრაფიას 1920-იან წლებში შეეძლო დაეპირისპირებინა მხოლოდ პოკროვსკის კონცეფცია სავაჭრო კაპიტალიზმის შესახებ როგორც მამოძრავებელი რუსეთის ისტორიისა. ვაჭრობის განსაკუთრებული მნიშვნელობა მან დაინახა ჯერ კიდევ კიევის რუსეთში, სადაც მთავრები იყვნენ ,,მონათვაჭართა ხროვის წინამძღოლები“. მოსკოვის სახელმწიფოს გაჩენას ის უკავშირებდა ქალაქების როგორც სავაჭრო სამრეწველო ცენტრების განვითარებას და სავაჭრო კავშირების დამკვიდრებას. ოპრიჩნინაში პოკროვსკიმ დაინახა სავაჭრო კაპიტალის, თავადაზნაურებთან კავშირში, ბრძოლა ფეოდალ ბოიარების წინააღმდეგ. რაზინის მოძრაობას უკავშირიებდა სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებას, ხოლო პუგაჩოვის აჯანყება ახსნა როგორც ,,რუსული პურის ვაჭრობის პირველი აყვავება“. XVIII საუკუნეში, რუსეთში პოკროვსკის აზრით გაჩნდა სამრეწველო კაპიტალიზმის ,,ყლორტები“, მაგრამ სავაჭრო კაპიტალი განაგრძობდა განვითარებას და სრული აყვავებას მიაღწია სწორედ XIX საუკუნის II ნახევარში. 60-იანი წლების საგლეხო რეფორმები წითელი პროფესორის განმარტებით განხორციელდა მხოლოდ სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალის ინტერესთა თანხვედრის წყალობით.

რუსეთის მთელი ისტორიის გაყოლებაზე პოკროვსკიმ სცადა კლასობრივი ბრძლის იდეის გატარება, ამასთან რიგ შემთხვევებში აგებდა აშკარად გამოგონილ კონცეფციებს, ამახინჯებდა ფაქტებს და ა.შ. მაგალითად ცრუ დიმიტრი I მას გამოჰყავდა როგორც მეფე რომელიც წავიდა მდიდარი მემამულეების და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ხოლო ცრუდიმიტრი II როგორც ,,კაზაკ-გლეხთა მეფე“.

1925 წელს მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ სცადა ფართოდ აღენიშნა პუგაჩოვის აჯანყების 150 წლისთავი, მისცა რა მას პრინციპული შეფასება. კონცენტრირებული სახით ეს შეფასება წარმოდგენილია გ. მეერსონის სტატიაში რომელიც პუგაჩოვშინას თვლიდა ადრეული ბურჟუაზიულ რევოლუციად, გამოწვეული კაპიტალის პირველადი დაგროვების ორი ფორმის დაპირისპირებით: მონოპოლისტურის დაკავშირებული ცარიზმთან და სავაჭრო კაპიტალისტურის რომელიც თავისუფალი იყო მონოპოლიისგან. აჯანყების ჩახშობა ავტორმა ახსნა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური განვითარების ამერიკული გზის დამარცხებით. ბუნებრივია, რომ მსგავსი აბსტრაქტულ სქოლასტიკური მიდგომა მ.

პოკროვსკის კონცეფციის სულისკვეთებით არ შეხვედრია სერიოზულ დამოკიდებულებას პროფესიონალ ისტორიკოსთა წრეში და მაინც იუბილემ ითამაშა თავისი დადებითი როლი - ცენტრარქივის დავალებით ს. გოლუბცოვმა მოამზადა და გამოსცა სამტომეული დოკუმენტების კრებული ,,პუგაჩოვშინა“ (1926-31) რომელშიც პირველად იქნა გამოქვეყნებული სხვადასხვა დოკუმენტები დაკავშირებული აჯანყებასთან.

რუსულმა ისტორიოგრაფიამ საკმაოდ სწრაფად ,,გადახარშა“ პოკროვსკის და მისი მოწაფეების ფეოდალიზმის კონცეფცია და არანაკლები როლი ამაში ითამაშა არამარქსისტი ისტორიკოსების ნაშრომებმა.

,,კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის პრობლემები რუსეთში“. - თუ ფეოდალური რუსეთის ისტორიის შესწავლაში ჭარბობდა არამარქსისტი ისტორიკოსების ნაშრომები, კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის პრობლემის ანალიზი წარმოადგენდა მარქსისიტული მიმართლების ისტორიოგრაფიის უდავო ,,მიღწევას“. იმპერიალიზმის საკითხების შემუშავება მოცემულ თემატიკაში იკავებდა ცენტრალურ ადგილს და ხორციელდებოდა ორი კონცეფციის წარმოამდგენელთა პოლემიკის ფონზე.

1. ,,დენაციონალიზატორული“ - შემოთავზებული ნ. ვანაგის და ს. რონინის ნაშრომებში რომელიც აღიარებდა პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთში უცხოური ფინანსური კაპიტალის სისტემის არსებობას რომელმაც დაიმორჩილა რუსული კომერციული ბანკები და მისი გზით რუსული მრეწველობა. ლოგიკური დასრულება მან მიიღო ლ. კრიცმანთან რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსული ფინანსური კაპიტალიზმის სისტემა არ არსებობდა და რუსეთი იყო მხოლოდ უცხოური ფინანსური კაპიტალის ექსპლუატაციის სფერო. სხვა სიტყვებით რუსეთი წარმოადგენდა ქვეყანას, რომელიც იმყოფებოდა დასავლეთის ქვეყნების ნახევრადკოლონიურ დამოკიდებულებაში.
2. ,,ნაციონალიზატორული“ გადმომოცემული ა. სიდოროვის, ი. გინდინის, ე. გრანოვსკის, გ. ციპეროვიჩის ნაშრომებში. მათ ასახეს კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში XX საუკუნის დასაწყისში, ოპერირებდნენ სამრეწველო წარმოების, კაპიტალის ზრდის მაჩვენებლებით, მონოპოლიების გაჩენით, საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შეზრდით. დამტკიცებულ იქნა, რომ უცხოური კაპიტალის შემოსვლა იყო არა ერთადერთი მიზეზი ფინანსური კაპიტალის გაჩენის.

1929-1931 წწ. ჩატარდა დისკუსიები მოცემულ პრობლემაზე, რომლის მსვლელობისას პირველად იქნა გამოყენებული პოლემიკაში პოლიტიკური ბრალდებები როგორც არგუმენტის საშუალება. დენაციონალიზატორული კონცეფციის წარმომადგენლები დახასიათებული იქნენ როგორც ნებსით თუ უნებლიედ იმ ანტიპარტიული ჯგუფების შეხედულებების გამომხატველნი რომლებიც უარყოფდნენ რუსეთში სოციალიზმის გამარჯვებისთვის პირობების არსებობას. ამის შემდეგ ვანაგის, რონინის და კრიცმანის შეხედულებები უარყოფილ იქნა.

მარქსისტი ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში 1920-იან წლებში მოხვდა ასევე რუსეთის აგრარული განვითარების პრობლემა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, რომლის შემუშავებისას მოუხდათ დაპირისპირება ნეონაროდნიკული მიმართულების საზოგადოებათმცოდნეების და ეკონომისტების შრომებთან (ლ. ლიტოშენკო, ი. კონდრატევი, ა. ჩაიანოვი, ა. ჩელინცევი). საუკუნეების მიჯნაზე სოფლის

მეურნეობის განვითარების დახასიათებისას მარქსისტი ისტორიკოსების თვალსაზრისი ემთხვეოდა თუმცა შეფასებებში არსებობდა რამდენიმე აქცენტი მაგალითად ს. დუბროვსკი და ა. შესტაკოვი რამდენამდე აზვიადებდნენ კაპიტალიზმის განვითარებას აგრარულ სექტორში და არ აჩვენებდნენ ნახევრადბატონყმური ურთიერთბების შენარჩუნების დონეს. ი. ლარინი ა. ტიუმენევი იხრებოდნენ სტოლიპინის რეფორმების წარმატებულობის დაკვნისკენ ამასთან ლარინი კაპიტალიზმის ყველაზე დიდ წარმატებას ხედავდა მემამულურ მეურნეობაში, რის მიზეზად თვლიდა ფასების აწევას მსოფლიო პურის ბაზარზე.

დიდი ინტერესს წარმოადგენს დუბროვსკის ნაშრომები რომელმაც შეძლო მოეცვა საკითხების ყველაზე ფართო წრე რუსეთის ისტორიაში XIX საუკუნის ბოლოს და XX დასაწყისში და მარქსიზმის თვალსაზრისით ყველაზე ღრმად დაემუშავებინა. მისი ძირითადი დასკვნა ჩანს შემდეგ სიტყვებში: ,,რუსული კაპიტალიმზი ახალგაზრდაა უდავოა - მაგრამ ახლაგაზრდობას არ შეუშლია მისთვის ხელი რაღაც 50 წელიწადში სწრაფი განვითარებით დაეკავებინა თავისი ორგანიზაციული ფორმებით არცთუბოლო ადგილი წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების რიგში, რომლებთან უშუალო კავშირშიც ის ვითარდებოდა“.

დიდი ყურადღება ისტორიოგრაფიამ მიაპყრო რუსეთის საგარეო პოლიტიკას. ამ თემატიკაზე ინტერესს იწვევს ძველი სკოლის ისტორიკოსების ნაშრომები: ბ. რომანოვის (რუსეთი მანჯურიაში) დეტალურად განიხილავდა ცარიზმის პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში. ე. ტარლე (ევროპა იმპერიალიზმის ეპოქაში 1871-1919). უნდა აღინიშნოს ტარლეს ამ ნაშრომის გამოსვლამ გამოიწვია მწვავე პოლემიკა, საქმე იმაშია, რომ აკადემიკოსმა აჩვენა გერმანული იმპერიალიზმის აგრესია პირველი მსოფლიო ომის წინ. მარქსისტული ისტორიოგრაფიის მეთაური პოკროვსკი კი თვლიდა, რომ ომი გააჩაღა ინგლისმა.

,,განმანთავისუფლებელი ბრძოლების პრობლემა 20-იანი წლებში“

რუსულ ისტორიოგრაფიაში გამოიკვეთა მიმართულება დაკავშირებული განმანთავისუფლებელი მოძრაობების შესწავლასთან. 1925 წელს აღინიშნა დეკაბრისტების გამოსვლიდან 100 წლისთავი, ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1300-ზე მეტი სხვადასხვა ნაშრომი. მათ შორის სარატოველი ისტორიკოსის ს. ჩერნოვის კვლევების სერია: ,,კეთილდღეობის კავშირის შესახებ“ (О союзе благоденствия) და მ. ნეჩკინას ნაშრომი ,,შეერთებულ სლავთა საზოგადოება“ (Обшество соединенных славян). ცენტრარქივმა მიიღო გადაწყვეტილება გამოეცა დეკაბრისტთა გამოძიების საქმეები და გამოიცა ექვსი ტომი (1926-31), დღის სინათლე იხილა ,,დეკაბრისტების ანბანმა“ (Альфавит декабристов).

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დეკაბრიზმი 1920-იან წლებში არაერთგვაროვნად ფასდებოდა. ძველი ბოლშევიკი მ. ოლმინსკი იუბილის აღნიშვნის წინააღმდეგაც კი გამოვიდა, შეაფასა რა მოძრაობა როგორც მემამულეთა შეთქმულება. მ. პოკროვკი თვლიდა ჩრდილოეთის დეკაბრისტებს ,,ტიპურ ბურჟუაზიულ-მემამულურ დაჯგუფებად“ ხოლო შეერთებულ სლავთა საზოგადოების წევრებს რევოლუციურ დემოკრატებად. მარქსისტი ისტორიკოსები უკავშირებდნენ დეკაბრიზმის გაჩენას სამეურნეო კონიუნქტურას რაც საერთოდაც იყო რთული საზოგადოებრივი მოვლენის ვულგარიზაცია.

1928 წელს აღინიშნებოდა ნ. ჩერნიშევსკის დაბადებიდან 100 წელი, რასაც დაუკავშირდა მისი ,,ნარჩევი თხზულებებისა და ,,დღიურის“ გამოცემა. განსკუთრებული როლი

გამოჩენილი რევოლუციონერის მემკვიდრეობის გამოკვლევაში ითამაშა ი. სტეკლოვმა ავტორი ორტომეულისა ,,ჩერნიშევსკი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა“. მისმა მოხსენებამ მარქსისტი ისტორიკოსების საზოგადოებაში გამოიწვია ხანმოკლე დისკუსია. სტეკლოვმა განაცხადა, რომ ჩერნიშევსკიმ ლენინამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო რუსეთში კომუნისტური იდეების პროპაგანდა. განხილვის მონაწილეებმა შეაფასეს ჩერნიშევსკი როგორც გლეხთა რევოლუციონერი და რევოლუციონერ დემოკრატი.

1929 წელს შესრულდა 50 წელი ორგანიზაციისა ,,სახალხო ნება“ რამაც დაბადა დიდი რაოდენობით პუბლიკაცია. ბ. კოზმინმა გამოსაცემად მოამზადა ნარდონიკების ერთ-ერთი იდეოლოგისა პ. ტკაჩევის თხზულებათა კრებული, გამოქვეყნდა დოკუმენტთა კრებულები 70-იანი წლების ნაროდნიკული მოძრაობის შესახებ. ა. ულიანოვა-ელიზაროვამ მოამზადა კრებული: ,,ა. ი. ულიანოვი და 1887 წლის 1 მარტის საქმე“, არქივისტმა ა. შილოვმა ,,1887 წლის 1 მარტი“.

იუბილესთან დაკავშირებით 1929-30 წ. ჩატარდა დიკუსია ,,სახალხო ნების“ შესახებ. რომლის საბაბიც იყო ი. ტეოდოროვიჩის გამოსვლა, რომელიც განმარტავდა რევოლუციურ ნაროდნიკებს როგორც ბოლშევიკების პირდაპირ წინამორბედებს. სხვა პოზიცია ეკავა მ. პოკროვსკის და მის მოწაფეებს, თვლიდნენ რა ნაროდოვოლცებს ბურჟუაზიულ ლიბერალურ მიმართულებად. დისკუსიაში ჩაერია ცკ. ვკპ(ბ)-ს კულტურის და პორპაგანდის განყოფილება რომელმაც გამოაქვეყნა თეზისები ,,სახალხო ნების შესახებ“ მასში გაკრიტიკებული იყო ნაროდნიკობის შეუფასებლობა როგორც გლეხთა რევოლუციურ დემოკრატიული მოძრაობის. ამავე დროს მხილებულ იქნა ი. ტეოდოროვიჩის მცდელობა ,,წაეშალა სხვაობა სამეცნიერო და უტოპიურ სოციალიზმს შორის“.

1920-იან წლებში წინა პლანზე წაიწია 1905-1907 წწ რუსული რევოლუციის და მუშათა მოძრაობის სამეცნიერო შესწავლამ. გაჩნდა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევები. პიონერი ამ დარგში იყო ა. შესტაკოვი 1925 წ. გამოქვეყნებული წიგნით ,,1905 წ. ოქტომბრის გაფიცვა“. მან გაფიცვა შეაფასა როგორც რევოლუციის კულმინაცია რამაც გამოიწვია კრიტიკა მარქსისტი ისტორიკოსების მხრიდან. დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას მიეძღვნა ნაშრომები ე. იაროსლავსკის (1925) ს. ჩერნომორდიკის (პ. ლარიონოვის) (1926) გლეხთა მოძრაობას - ა. შესტაკოვის და პ. მოროხოვცის, საბჭოებს - ნ. ბაბახანის პირველი სახელმწიფო დუმას - ა. სლეპაკოვი.

უნდა აღინიშნოს რომ მარქსისული მიმართულების ისტორიოგრაფია იკვლევდა განმანთავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებს ისტორიული მეცნიერების წვრილბურჟუაზიული წარმომადგენლებთან მწვავე ბრძოლაში, რომლებიც არა მარტო სთავაზობდნენ თავიანთ განმარტებას არამედ პრეტენზიას აცხადებდნენ განმანთავისუფლებელი მოძრაობის მემკვიდრეობითობაზე. ყველაზე საჩვენებელი ამ მიმართულებით არის რ. ივანოვ-რაზუმნიკის ,,რუსული საზოგადოებრივი აზრის ისტორია“, რომელიც სთავაზობდა სხვა, საწინააღმდეგო განმარტებას. გერცენის შესახებ მაგალითად წერდა: ,,დასავლურობის სოციალისტური ინდივიდუალიზმი და სლავიანოფილობის ეთიკური ინდივიდუალიზმი გერცენის მიერ სინთეზირებული იყო ფილოსოფიურ ისტორიული ინდივიდუალიზმის გზით, ამ სინთეზიდან იღებს თავის საწყისს ნარდონიკობა“

განმანთავუსფლებელი მოძრაობის პრობლემატიკას 1920 იან წლების ისტორიოგრაფიაში ებმოდა ისტორიულ პარტიული თემატიკა. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ,,ვკპ(ბ) ისტორიის“ ოთხტომეული ე. იაროსლავსკის რედაქტორობით, რომელიც მოიცავდა პერიოდს 1880 წლიდან - სამოქალაქო ომის ბოლომდე, მისი ავტორები იყვნენ ი. მინცი ს. პიონტოვსკი, კ. სიდოროვი და სხვები. ძირითადი ყურადღება რა თქმა უნდა ექცეოდა ლენინის როლს პარტიის რევოლუციურ მოძროაბაში.

პარალელურად მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა გ. ზინოვიევის ,,რკპ(ბ) ისტორია“ რომელიც მოგვიანებით აღაირებულ იქნა ოპორტუნისტულად და ფალსიფიკაციად. ანალოგიური ბრალდებები წარედგინა პარტიის ისტორიის წიგნებს რომლის ავტორები იყვნენ ვ. ვოლოსევიჩი და ვ. ვაგანიანი და სხვა წიგნები.

,,საბჭოთა პერიოდის შესწავლა“

განმანთავისუფლებელი ბრძოლის და პარტიის ისტორიის ისტორიოგრაფიაში პირველობა უდავოდ ეკუთვნოდა ისტორიკოს მარქსისტებს. ოქტომბრის მოვლენების და სამოქალაქო ომის შეფასებისას ინტერესს წარმოადგენს რუსული ისტორიული მეცნიერების ყველა მიმართულების წარმომადგენელთა თვალსაზრისი. ერთ-ერთმა პირველებმა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებმა გამოთქვეს აზრი. ამ მიმართულების უმსხვილესმა ისტორიკოსმა პროფესორმა მ. ტუგან-ბარანოვსკიმ სხვა ბევრი პროფესორის მსგავსად დაიკავა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. 1917 წლის ბოლოს და 1918 წლის დასაწყისში ის იყო ცენტრალური რადის ფინანსთა მინისტრი, 1919 წელს როგორც მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გამეგზავრა უკრაინის დირექტორიის დელეგაციასთან ერთად პარიზში ამავე წელს გამოსცა წიგნები რომელშიც იძლეოდა თავის ინტერპრეტაციებს მომხდარი რევოლუციის შესახებ.. მან ხაზი გაუსვა მის დამანგრეველ ხასიათს, ნეგატიურ ელემენტებს და ნიშნებს, ამასთან ვარდებოდა ისეთ პათეტიკაში რომელიც საერთოდ არაა დამახასიათებელი მისი შრომებისთის რუსეთის ეკონომიკის ისტორიაში.

რევოლუციის სათავეში მ. ტუგან-ბარანოვსკი აყენებდა ინტელიგენციას, რის შედეგადაც პოლიტიკური წყობა წარმოდგენილი იყო მის მიერ როგორც სოციალისტური ინტელიგენციის დიქტატურა, რომელიც ეყრდნობოდა ძირითად საქალაქო პროლეტარიატს ნაწილობრივ კი უღატაკეს გლეხობას“. მიმართავდა რა სოციალისტურ ტერმინოლოგიას ის გამოდიოდა მარქსიზმის ძირითადი დადგენილებების რევიზიის მოთხოვნით.

ბურჟუაზული ისტორიკოსების მცდელობებთან ახლო იყო წვრილბურჟუაზიული კოლეგების მეშევიკური და ესერულად განწყობილი ისტორიკოსების და საზოგადოებათმცოდნეების მცდელობები. 1918 წელს ესერებმა გამოსცეს კრებული ,,ბოლშევიკები ხელისუფლებაში“, მასში ბოლშევიკებს ადანაშაულებდნენ საუკუნოვანი ,,რუსული სახელმწიფოებრიობის“ და კულტურის ნგრევაში, დასკვნა მიდიოდა იქითკენ რომ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ და არ აქვთ საყრდენი მასებში“. ილუსტრაციის სახით ავტორებს საკმაოდ ხშირად მოჰყავდათ შუა ვოლგისპირეთის მონაცემები სადაც ესერები სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი გავლენით. კრებულს ჰქონდა აშკარად გამოხატული

პოლიტიკური მიმართულება და მოწოდებული იყო საფუძველი მიეცა ესერული გადატრიალებისთვის.

ამავდროულად გამოიცა დამფუძნებელი კრების ესერთა ფრაქციის წევრების სტატიათა კრებული. შუა ვოლგისპირეთის გუბერნიის დახასიათებისას მასში აღნიშნული იყო, რომ აქ ბრძოლა გამოირჩეოდა ,,განსაკუთრებული სისატიკით". უნდა აღინიშნოს, რომ შუა ვოლგისპირეთით დაინტერესება დამახასიათებელია წვრილბურჟუაზიული ისტორიკოსებისთვის, ის ხომ დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ესერებისთვის ერთ-ერთ საყრდენ ბაზას. საკმარისია მივმართოთ ნ. სვიატიცკის ნაშრომებს, რომელმაც 1918 წელს სცადა გაეანალიზებინა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების შედეგები. მისი მონაცემებით ვოლგისპირეთის ჩერნოზემნის რაიონში ხმები განაწილდა ასე ესერები 4733,9 ათასი (70%) ბოლშევიკები 1115,6 ათასი (16%) კადეტები 267 ათასი (4%). 1918 წლის ბოლოს ნ. სვიატიცკი იწყებს ბოლშევიკების დადანაშაულებას ტერორისტული დიქტატურის დამყარებაში და ა.შ. წვრილბურჟუაზიული ავტორები უარყოფენ საბჭოთა ხელისუფლების კანონიერებას, მაგრამ ამავე დროს აღიარებენ მის ძალას. იძლეოდა რა შუავოლგისპირეთის რეგიონის პოლიტიკური სიტუაციას სვიატიცკი აღნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის მდგრადობის შესახებ, მისი უნარის შესახებ მოკლედ დროში მოეხდინა ძლიერი ფრონტის და მტკიცე ზურგის ორგანიზება. და ა.შ. ნ. სვიატიცკიმ არსებითად საფუძველი ჩაუყარა 1918 წ. ჩრდილო ვოლგისპირეთში ბელოჩეხების აჯანყების შეფასებას არამარქსისტულ ისტორიოგრაფიაში. ის გამოხატავს ბელოჩეხებს როგორც რწმენით დემოკრატებს და ა.შ.

მარქსისტი ისტორიკოსების პირველი ნაშრომები ოქტომბრის რევოლუციის და სამოქალაქო ომის ისტორიაზე ატარებდა ღიად გამოხატულ პოლიტიკურ მიმართულებას. რევოლუციის პირველ იუბილესთან დაკავშირებით გამოიცა ნაშრომები: ვ. კარპინსკის, ვ. ბისტრიანსკის ვ. ნევსკის და სხვა რომელშიც მოკლედ იყო ჩამოყალიბებული 1917 წლის მოვლენები. პირველი მეტნაკლებად ყოვლისმომცველი წიგნი გამოვიდა 1923 წელს მისი ავტორი იყო ს. პიონტკოვსკი. მან სცადა ყველა მხრიდან აეღწერა რევოლუციის მსვლელობა გაენალაიზებინა მასების განწყობილება და მოქმედება, ბოლშევიკური პარტიის როლი. საინტერესოა მისი აზრი იმაზე, რომ რევოლუცია იყო ერთდროულად პროლეტარულიც და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული"

1924 წლის შემოდგომას დღის სინათლე იხილა ლ. ტროცკის სტატიამ ,,ოქტომბრის გაკვეთილები" რომელიშიც წარმოდგენილი იყო რევოლუციური მოვლენების ოფიციალურისგან რამდენიმე განსხვავებული ხედვა. ნაშრომი დაგმობილ იქნა (1925) ცკ. რკპ(ბ) პლენუმის მიერ.

1920-იანი წლების შუახანებიდან გადასვლა ძირითადად პუბლიცისტური შრომებიდან სერიოზულ კვლევებზე გადასვლა მოხდა. ამასთან ნაშრომების უმრავლესობაში ბატონობდა თვალსაზრისი რევოლუციის ორგვარი ხასიათის შესახებ, მაგალითად ლ. კრიცმანი წიგნში ,,დიდი რუსული რევოლუციის გმირული პერიოდი" ოქტომბრის მოვლენებს ახასიათებდა როგორც ანტიკაპიტალისტური და ანტიფეოდალური რევოლუციების დამთხვევას".

განსაკუთრებული როლი ოქტომბრის შესწავლაში ითამაშა ისტპარტმა, რომელმაც გამოსცა რევოლუციის ათწლედთან დაკავშირებით შრომების სერია, რომელიც სერიოზული კვლევების შედეგი იყო. ყველაზე საინტერესო იყო ა. შესტაკოვის წიგნი ,,ბოლშევიკები და გლეხობა 1917 წლის რევოლუციაში" (1927)

სამოქალაქო ომის ისტორია მუშავდებოდა ჯერ კიდევ 1918-1920 წწ. 1920 წ. შუახანებიდან გამოიცა პირველი განზოგადებული ნაშრომები სამოქლაქო ომის ისტორიაში (ს. ვენცოვი, ს. ბელიცკი, ა. ანიშევი, ნ. კაკურინი მ. ლევიტოვი). ს. ვენცოვის და ს. ბელიცკის ნაშრომი ,,წითელი გვარდია“ იყო საწყისი პერიოდის საომარი მოქმედებების გაშუქების პირველი მცდელობა. ა. ანიშევის გამოკვლევა ,,სამოქალაქო ომის ისტორიის ნარკვევები 1917-20“ (1925) იყო მცდელობა ომისთის მიეცა სოციალ-პოლიიტკური ანალიზი. ნ. კაკურინის ორტომეული ,,როგორ იბრძოდა რევოლუცია“ (1925-26) აშუქებდა სამოქალაქო ომის მსვლელობას მთლიანად. განსაკუთრებული ადგილი სამოქალაქო ომის ისტორიოგრაფიაში დაიკავა ვ. ანტონოვ-ოვსეენკოს ოთხტომეულმა ,,ჩანაწერები სამოქალაქო ომზე“ მნიშვნელოვანია თვითონ ავტორის შეფასება, მესამე ტომის წინასიტყვაობაში ,,ესაა სწორედ მოთხრობა, მოგონება გამყარებული ოფიციალური დოკუმენტებით, მაგრამ არა ისტორიული გამოკვლევა“.